

ოქმი № 1

ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს
2008 წლის 2 აპრილის სხდომისა

სხდომას ესწრებოდნენ

საბჭოს წევრები: რ. ბანცური, მ. ელიაშვილი, ლ. ეფრემიძე, ნ. ინასარიძე,
ს. ინასარიძე, ვ. კოკილაშვილი, მ. მანია, ს. სანებლიძე, თ. ქადეიშვილი, ნ.
შავლაყაძე, ო. ჭკადუა, მ. ჯიბლაძე, ო. ჯოხაძე

სათათბირო ხმის უფლებით: ნ. ფარცვანია (ინსტიტუტის დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი).

დ დ ი ს წ ე ს რ ი გ ი :

1. ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს
თავმჯდომარის არჩევნები.

კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა მამუკა ჯიბლაძე, მდივნად – ნ.
ინასარიძე.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : მ. ელიაშვილის გამოსვლა, რომელმაც სამეცნიერო
საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატურად დაასახელა თორნიკე ქადეიშვილი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : ო. ჭკადუას გამოსვლა, რომელმაც სამეცნიერო
საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატურად დაასახელა როლანდ დუდუჩავა.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატის
თორნიკე ქადეიშვილი გამოსვლა, რომელმაც საბჭოს წევრებს მოახსენა
მისი სამოქმედო პროგრამა.

რ. დუდუჩავას სამოქმედო პროგრამა წარმოადგინა ო. ჭკადუამ (რადგან
რ. დუდუჩავა სამეცნიერო მივლინებით იმყოფება პორტუგალიაში).

ს ა კ ი თ ხ ი დ ა დ გ ა კ ე ნ ჭ ი ს ყ რ ა ზ ე . არჩეულ იქნა
ხმის დამთვლელი კომისია შემადგენლობით: ს. სანებლიძე (თავ-რე), ლ.
ეფრემიძე.

ჩატარდა ფარული კენჭისყრა (ხმის დამთვლელი კომისიის ოქმი № 1,
რომელიც სამეცნიერო საბჭომ ერთხმად დაამტკიცა, ოქმს თან ერთვის).

დ ა ა დ გ ი ნ ე ს :

ფარული კენჭისყრის შედეგების საფუძველზე ანდრია რაზმაძის მათემა-
ტიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ ანდრია რაზმაძის მათემატი-

კის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი თორნიკე ქადეიშვილი.

სხდომის თავმჯდომარე

მ. ჯიბლაძე

სხდომის მდივანი

ნ. ინასარიძე